„საქორწინო კონტრაქტი- როგორც მეუღლეთა შორის უფლებების რეალიზაციის გარანტი და მისი პრაქტიკული დანიშნულება საქართველოსა და საერთაშორისო სამართლის ქვეყნების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მიხედვით“

ანი დაშნიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის ინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ასევე ვაცხადებ, რომ ნაშრომი შეიცავს 2021 წელს , ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე, კურსის „აკადემიური წერა იურისტებისათვის“ ფარგლებში ჩემს მიერ შესრულებული ნაშრომიდან „საქორწინო ხელშეკრულება“ -სამართლებრივი ჩარჩო სიყვარულისთვის და მისი პრაქტიკული დანიშნულება საქართველოსთვის“ აღებულ მონაკვეთებს, როგორც ციტირებული ასევე გადამუშავებული სახით.

ანი დაშნიანი

2021წელი

აბსტრაქტი:

შესავალი: 1997 წლიდან დამკვიდრდა ახალი ინსტიტუტი სამოქალაქო სამართალში, რომელიც ოჯახის შექმნის მსურველი წყვილებისათვის მიზნად ისახავდა სამართლებრივ ჩარჩოებში მოექციათ ქორწინება. მიუხედავად იმისა რომ მრავალმა წელმა განვლო საქართველოში დღემდე პოპულარობა ვერ ჰპოვა საქორწინო ხელშეკრულებამ და პრობლემა 2021 წელსაც აქტუალურია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1173 მუხლი ფაქტობრივად გამოუყენებელ და „მკვდარ“ მუხლად ითვლება. მნიშვნელოვანია მოხდეს აქტიური მუშაობა ამ კუთხით საზოგადოების მიდგომის შესაცვლელად, გამომდინარე იქიდან , რომ თემა ეხება შედარებით-სამართლებრივ ანალიზს ნაშრომში მოყვანილი იქნება სხვადასხვა უცხოური ქვეყნის მიერ ჩამოყალიბებული განმარტებები და პრაქტიკა საქორწინო კონტრაქტთან მიმართებაში. **მეთოდოლოგია:** კვლევისათვის გამოყენებული იქნა პრეისტორია ქორწინების ინსტიტუტის გარშემო წარმოდგენის შესაქმნელად, ასევე შედარებითი და ღირებულებათა სისტემა, შემუშავდა კითხვარი საზოგადოებაში არსებული მიდგომების და შეხედულებების გასაანალიზებლად , სადაც გამოკითხულ იქნა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები ონლაინ და შედეგების ანალიზით მოხდა გარკვეული დასკვნის ჩამოყალიბება ამ ინსტიტუტის აქტიურად ამუშავების მოსალოდნელი შედეგების კუთხით. **შედეგები:** ღირებულებათა სისტემამ საზოგადოებაში არსებულ დოგმებს გაუსვა ხაზი, შედარებითი მეთოდი კი, კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ ამ ინსტიტუტისადმი მიდგომა ეროვნებასაც უკავშირდება და ქორწინების ერთი მხარის უცხო ელემენტით წარმოდგენა სიტუაციას რადიკალურად ცვლის ხშირ შემთხვევაში. პრაქტიკა 2020 წლის „კარანტინული“ მდგომარეობით შეფასდა და გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც ოჯახებში არსებულ: შეუთავსებლობაზე მიუთითებს. **დასკვნა/რეკომენდაციები:** მნიშვნელოვანია მოხდეს ახალი კანონპროექტის შედგენა და უკვე იმ საზოგადოებისათვის რომელსაც გარკვეული

პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრენინგები ჩაუტარდებათ და არა ბაზისური არამედ სიღრმისეული ცოდნა ექნება ინსტიტუტის შესახებ, ქორწინების ხელშეკრულება სასურველია გახდეს სავალდებულო, თუმცა ეტაპობრივად უნდა მოხდეს რისკების შეფასება და ავ-კარგიანობის გათვალისწინება.[1]

[1] *აღნიშნული მონაკვეთი აღებულია ჩემ მიერ აკადემიური წერა იუსრიტებისათვის კურსის ფარგლებში 2021 წელს შესრულებული ნაშრომიდან „საქორწინო ხელშეკრულება“ -სამართლებრივი ჩარჩო სიყვარულისთვის და მისი პრაქტიკული დანიშნულება საქართველოსთვის“*

Abstract

Introduction: A new institute in civil law has been established since 1997, Which was intended for couples wishing to start a family within the legal framework of marriage. Despite the fact that many years have passed, the marriage contract has not gained popularity in Georgia and the problem is still relevant in 2021. Article 1173 of the Civil Code of Georgia is considered to be in fact an unused and dead article. It is important to work actively to change the public approach in this regard. Due to the fact that the topic is related to comparative-legal analysis, the paper will provide definitions and practices established by different foreign countries in relation to the marriage contract. **Methodology:** Prehistory was used for the study to create representations around the institution of marriage, as well as a system of comparisons and values. A questionnaire was developed to analyze the approaches and views in the community, where different age groups were interviewed online and the analysis of the results led to a certain conclusion regarding the expected results of the active development of this institution. **Results:** The value system underlined the dogmas in the society. The comparative method proves once again that the approach to this institution is also related to nationality, and the representation of one side of the marriage with a foreign element changes the situation radically in many cases. The practice assessed the quarantine situation in 2020 and identified significant problems indicating incompatibility in families. **Conclusion/ Recommendations:** It is important to draft a new bill and already for the community, which will receive significant training over a period of time and will have not general but in-depth knowledge about the institute. The marriage contract should preferably be made mandatory, although the risks should be assessed and adjusted step by step.